სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 24

2019 წ. "12" 09

ქ.თბილისი

შპს წმ. გიორგის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2019 წლის 1 აგვისტოს შემოვიდა შპს წმ. გიორგის უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის: №1006566, 01.08.2019) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 26 ივნისის N23 გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე.

ცენტრის 2019 წლის 14 აგვისტოს წერილით (ცენტრში რეგისტრაციის: N1047150, 14.08.2019) შპს წმ. გიორგის უნივერსიტეტს დაუდგინდა ხარვეზი.

2019 წლის 20 აგვისტოს ცენტრში შემოვიდა შპს წმ. გიორგის უნივერსიტეტის წერილი (ცენტრში რეგისტრაციის: N1069131, 20.08.2019), რომელშიც დაწესებულება უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის განხილვაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26³ მე-3 პუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული ცენტრის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს წმ. გიორგის უნივერსიტეტს (ს/კ: 405286168) უარი ეთქვას N1006566 წერილით წარმოდგენილი საჩივრის განხილვაზე.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე ნ. პაპუკაშვილი